ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 3/89 კ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის 20 მარტს, ერთის მხრივ **სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **კავშირი არქიტექტურული აზრის განვითარება „ერდო“** (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის გოგოთურ მისრიაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და კონკურსანტის წინადადების საფუძველზე.

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი N 280, სოფ. უკანგორის (დმანისის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე (CPV **კოდი 71300000**), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა კონკურსანტის წინადადება, რომლის თანახმად მიმწიდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: 11990 (**თერთმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაათი**) ლარი ყველა გადასახადის ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია სოფ. უკანგორის (დმანისის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, რომელიც განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის, კერძოდ ტექნიკური დავალების შესაბამისად, თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების საფუძველზე გეგმა-გრაფიკის შესაბამისად (იხ. დანართი).

3.2. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების მიხედვით მიმწოდებელი საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2012 წლის 21 მაისის ჩათვლით.

3.3. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი _ ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლები: ვაჟა ილურიძე, გიორგი სოსანიძე, გიორგი პატაშური.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება მთლიანად ან ეტაპობრივად მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 4.5 მუხლში მითითებული პირები).

5.2.შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილებასსრულყოფილებას, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. თუ პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შესყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

5.4. შემსყიდველს უფლება აქვს ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო დოკუმენტაცია.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.

5.6. თუ შემსყიდველმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშოები დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

5.5. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ 2012 წლის ბიუჯეტის სახსრებით.

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით;

6.4. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.5. <u>წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე (არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30 %-ისა) საავანსო საბანკო გარანტია,</u> რომლის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

<u>8.2 შემსყიდველი ვალდებულია:</u>

8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
8.3.2. განახორციელოს კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას;
8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო დოკუმენტაცია.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.4.3. საპროექტო დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
8.4.4. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროექტო დოკუმენტაციაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
8.5 საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს 4 (ოთხ) ეგზემპლარად ტექნიკურ დავალებაში მითითებული პირობების შესაბამისად, აგრეთვე პროექტი ელექტრონული სახით ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ფორმატში.
8.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა
10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები
11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია
12.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულია საბანკო გარანტია - # PE27341-12 გაცემული 2012 წლის 19 მარტს სს „საქართველოს ბანკი"-ს მიერ თანხით 600 (ექვსასი) ლარი ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაა 2012 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით.
12.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).

12.3 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

12.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

13. გარანტია

13.1. საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს;

13.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ექსპერტიზის გავლის შედეგად საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.

13.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 5 სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).

13.4. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება სამუშაოების პროცესში საპროექტო ორგანიზაციის არაკვალიფიციურად დასახული ამოცანის შედეგად და აღმოჩნდება, რომ ამის გამო სამუშაოების ღირებულება იზრდება, მიმწოდებელი (საპროექტო ორგანიზაცია) ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

14.2 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება შესაბამისი აქტის გაფორმების თარიღიდან.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

'ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

20. შეტყობინება

20.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

20.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21. გადასახადები და დაბეგვრა

21.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

21.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

22. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

23. სხვა პირობები

23.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

23.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

23.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

23.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

23.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5 სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა # 200122900 ს/კოდი: 204562311	კავშირი არქიტექტურული აზრის განვითარება „ერდო“ მის: იურიდიული - ქ. თბილისი, აწყურის ქ. N 4ა ბ. 32 ფაქტიური - ქ. თბილისი, ზემო ვეძისის ქ. N 33/7 ს.ს. „საქართველოს ბანკი“ კოდი: BAGAGE22 ა/ა # GE79BG0000000187024700 ს/კოდი: 206277296
გენერალური დირექტორი	**ხელმძღვანელი**
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი	გოგოთურ მისრიაშვილი

სოფ. უკანგორის (დმანისის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

ტექნიკური დავალება

❖ **პრეამბულა**

სოფ. უკანგორის (დმანისის მუნიციპალიტეტი) ეკლესია V საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია. წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას, მინაშენით სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთ მონაკვეთში და გალერეით სამხრეთ და დასავლეთ ფასადებზე.

❖ **მიზანი და ძირითადი პირობები**

კონკურსის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის გადაწყვეტის საუკეთესო წინადადებისა და პროექტის გამოვლენა.

ძეგლზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე მეთოდოლოგია უნდა დაისახოს საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" მოთხოვნებისა და ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

კვლევითი და საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი – ArchiCad, Auto CAD) ფორმატში.

❖ **კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები და საკონკურსო მასალების კუთვნილება**

<u>საკონკურსო მასალები გადადის კონკურსის მომწყობის საკუთრებაში. მას უფლება აქვს გამოიყენოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ, საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის დაცვით.</u>

❖ **გასაწევი მომსახურების ეტაპები და შინაარსი:**

გასაწევი მომსახურება ორ ეტაპიანია.

<u>I ეტაპზე ჩასაბარებელი საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:</u>

1. განმარტებითი ბარათი (პრობლემ(ებ)ის დეტალური აღწერა);
2. საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა _ მ. 1:2000 ან 1:1000;
3. ტოპოგრაფიული გეგმა _ მ. 1:500, 1:200;
4. სისტემატიზირებული ფოტომასალა: საპროექტო ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის ფოტომასალა – TIFF გაფართოების ფაილი);
5. არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები (3D ლაზერული სკანერით) ლოკალურ დაზიანებათა დატანით (კროკები; ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მასშტაბში გამოხაზული ნახაზები _ მ. 1:50; არქიტექტურული დეტალები _ მ. 1:25, 1:20, 1:10; შაბლონები _ მ. 1:1; ტექსტური აღწერილობა);
6. კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა;
7. ზონდირების შემთხვევაში ზონდაჟების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მ 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;

8. შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;

9. მიწის სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში არქეოლოგიური კვლევის შედეგები (საკვლევი ტერიტორიის კვადრატებად დაყოფის სქემა, არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი ძეგლების განლაგების სქემა და ანაზომი, არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მ 1:25, 1:20), ტექსტური აღწერილობა, არქეოლოგიური კვლევის შედეგების ანგარიში);

10. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტექნიკური ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება (გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეფასება, სინჯების ლაბორატორიული ანალიზი, ანალიზის შედეგების დამუშავება და დასკვნების მომზადება); ანგარიშს თან უნდა ახლდეს ლითოგრაფიული ჭრილები, არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა;

11. რეკომენდაციები სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;

12. სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები (ბიბლიოგრაფიული კვლევის ანალიზი, ნატურაში კვლევის ანალიზი და რეკომენდაციები, შესწავლილი ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალის ჩამონათვალი);

13. პალეოგრაფიული ან მონუმენტური სახვითი ხელოვნების ნიმუშების აღმოჩენის შემთხვევაში:

_ შესაბამისი ანაზომები, დაზიანებათა განლაგების სქემა (მ. 1:50, 1:25), ცალკეული დეტალები (მ. 1:1), შაბლონები;

_ უახლესი ფოტომასალა, დაზიანებული ელემენტებისა და ფრაგმენტების დეტალური ფოტოფიქსაცია;

_ ბიოქიმიური ანალიზი (აღებული სინჯების განლაგების სქემა, ლაბორატურიული ანალიზის შედეგები).

<u>II ეტაპზე ჩასაბარებელი სამუშაო განისაზღვრება დოკუმენტაციის შემდეგი შემადგენლობით:</u>

1. არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი (პრობლემების გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება); გენერალური გეგმა _ მ. 1:200; სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50), შაბლონები, ფრაგმენტები, დეტალები 1:50, 1:25, 1:20, 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);

2. კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);

3. ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:200, სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);

4. სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით;

5. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა.

6. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი;

7. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი.

საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს A-3 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

- სათაური;
- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;
- ალბომის შემადგენლობა;
- პროექტის შემადგენლობა;
- შესაბამისი ტექსტუალური ნაწილ(ებ)ი, დადასტურებული შემსრულებლ(ებ)ის/ ავტორ(ებ)ის მიერ - A-4 ფორმატი;

- გრაფიკული ნაწილ(ებ)ი, შტამპით და ჩარჩოთი - A-3 ფორმატი (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ფორმატის წარმოდგენა, ალბომში აკინძული A3 ფორმატის ზომაზე).

ყველა ფურცელი უნდა იყოს დადასტურებული ხელმძღვანელის, პროექტის ავტორ(ებ)ის/შემსრულებლ(ებ)ის მიერ ხელმოწერებით.

ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს A-4 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

- თავფურცელი (სათაური);
- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;
- განმარტებითი ბარათი;
- სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა დადასტურებული შემდგენელის ხელმოწერით;

<u>შემსყიდველი იტოვებს უფლებას საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დააზუსტოს ისეთი ტექნიკური პირობები, რომლებიც არ გამოიწვევენ სამუშაოების მოცულობათა და შინაარსის მნიშვნელოვან ცვლილებებს. აგრეთვე, შემსყიდველი იტოვებს უფლებას საკონკურსო დავალებისა და საკონკურსო წინადადების საფუძველზე დააზუსტოს მოთხოვნები მისაღები (დასამუშავებელი) პროდუქციის მიმართ.</u>

❖ **შემსყიდველისათვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია**

საბოლოო პროდუქციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს პირველ და მეორე ეტაპზე დამუშავებული დოკუმენტაცია:

– მყარი ასლები – ალბომი 4 ეგზ;

– ელექტრონული ფორმატი (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი – ArchiCad, Auto CAD), კომპაქტური დისკების სახით (CD 4 ეგზ.).

საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების საბოლოო ვადაა 2012 წლის 21 მაისი.

სოფ. უკანგორის ეკლესია (დმანისის მუნიციპალიტეტი)

სარეაბილიტაციო პროექტების ხარჯთაღრიცხვა

27 თებერვალი 2012 წელი

#	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება ლარებში
1	განმარტებითი ბარათი	150,00
2	საპროექტო ობიექტების სიტუაციური გეგმა	150,00
3	ფოტოფიქსაცია	250,00
4	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები	1350,00
5	სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები	600,00
6	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა	650,00
7	ტოპოანაზომი და ვერტიკალური გეგმარების პროექტი	450,00
8	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა	850,00
9	არქეოლოგიური ზედამხედველობის ანგარიში	400,00
10	არქიტექტურული ნაწილი	1450,00
11	სკანირება 3D	3150,00
12	კონსტრუქციული ნაწილი	800,00
13	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი	360,00
14	ჩასატარებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა	290,00
	ჯამი	10900,00
	ზედნადები 10%	1090,00
	ჯამი	**11990,00**

სოფ. უკანგორის ეკლესია (დმანისის მუნიციპალიტეტი)

სარეაბილიტაციო პროექტების ხარჯთაღრიცხვა

27 თებერვალი 2012 წელი

I ეტაპი

#	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება ლარებში
1	საპროექტო ობიექტების სიტუაციური გეგმა	150,00
2	ფოტოფიქსაცია	250,00
3	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები	300,00
4	არქეოლოგიური ზედამხედველობის ანგარიში	400,00
5	არქიტექტურული ნაწილი	550,00
6	კონსტრუქციული ნაწილი	300,00
	ჯამი	1950,00
	ზედნადები 10%	195,00
	ჯამი	**2145,00**

სოფ. უკანგორის ეკლესია (დმანისის მუნიციპალიტეტი)

სარეაბილიტაციო პროექტების ხარჯთაღრიცხვა

27 თებერვალი 2012 წელი

II ეტაპი

#	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება ლარებში
1	განმარტებითი ბარათი	150,00
2	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები	1050,00
3	სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები	600,00
4	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა	650,00
5	ტოპოანაზომი და ვერტიკალური გეგმარების პროექტი	450,00
6	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა	850,00
7	არქიტექტურული ნაწილი	900,00
8	სკანირება 3D	3150,00
9	კონსტრუქციული ნაწილი	500,00
10	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი	360,00
11	ჩასატარებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა	290,00
	ჯამი	8950,00
	ზედნადები 10%	895,00
	ჯამი	**9845,00**

სოფ. უკანგორის ეკლესიის საპროექტო სამუშაოთა კალენდარული გეგმა-გრაფიკი

	სამუშაოთა დასახელება	I ეტაპი (2. 04. 12 – 30. 04. 12)			
		I თვე			
		I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა
1	განმარტებითი ბარათი				
2	ძეგლის დეტალური ფოტოფიქსაცია: საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა (ციფრულ ფორმატში – TIFF გაფართოების ფაილი				
3	ტაძრის ტერიტორიის ტოპოგეგმა				
4	ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი				
5	სიტუაციური გეგმა – მ. 1:2000				
6	გენგეგმა – მ. 1:500				
7	საარქივო მასალის მოძიება (ფოტო, ანაზომები და სხვ.)				
8	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები, 3D მოდელირება და ანზომვითი სამუშაოები (Leica Scan Station) (ფასადები, ჭრილები და სხვ.) და მათი გამოხატვა Autocad პროგრამაში				
9	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა				
10	არქეოლოგიური დასკვნა				
11	კონსტრუქციული დეტალების გასლაგების სქემები				
12	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები				

13	სახელოვნებათმცოდნეო წინასწარული კვლევის შედეგები (რეკომენდაციები, შესწავლილი ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალის ჩამონათვალი)				

	სამუშაოთა დასახელება	II ეტაპი (01. 05. 12– 21. 05. 12)		
		II თვე		
		I კვირა	II კვირა	III კვირა
1	განმარტებითი ბარათი(პრობლემების გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება)			
2	ანახლების კამერალური დამუშავება (ფასადების, ჭრილების, არქიტექტურული დეტალების ნახაზების დასრულება)			
4	კონსტრუქციული ნაწილი (განმარტებითი ბარათი, საბოლოო ნახაზები)			
5	უძრავი ძეგლის საადრიცხვო ბარათი			
6	უძრავი ძეგლის პასპორტი			
7	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოს ნატარების კალენდარული გრაფიკით			
8	ნახატარებული სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა			

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია #PE27341-12

თბილისი 19 მარტი 2012 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი" (შემდგომში „გარანტი")
გარანტის საიდენთიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: არქიტექტურული აზრის განვითარება - ერდო (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის საიდენთიფიკაციო კოდი: 206277296
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, აწყურის ქ., №4ა, ბ. 32
ბენეფიციარი: სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „ბენეფიციარი")
საგარანტიო თანხა: 600 (ექვსასი) ლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა სოფელ უკანგორის ეკლესიის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (დამანისის მუნიციპალიტეტი) მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 600 (ექვსასი) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე.

მოითხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საიანალოდ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებამდე საბოლოოდ დამთავრებადე, მაგრამ არაუგვიანეს: 01 აგვისტო 2012 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია ბოლოვდება აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე სს „საქართველოს ბანკი"-ს (ს/კ: 204378869) კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ, შემდეგ მისამართზე: სათაო ოფისი, გაგარინის ქ. 29ა, თბილისი, 0160, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებისე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ეთერ ხხეიძე.
გარანტიების სამსახურის უფროსი